საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

15/01/2026

MES 9 26 0000031057

გადაწყვეტილება

შპს ახალი უმაღლესი სასწავლებელი - ნიუუნის „კომპიუტერული მეცნიერების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5- ემუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „სრულად ან/და მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.5. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-7^1 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 22 სექტემბრის №1195548 ბრძანების საფუძველზე განხორციელდა შპს ახალი უმაღლესი სასწავლებელი - ნიუუნის "კომპიუტერული მეცნიერების" საბაკალავრო და ,,კომპიუტერული მეცნიერების" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერზე სააკრედიტაციო ვიზიტი.

2.2 საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.3 სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება და 4.1 კომპონენტში არსებული რჩევა გადავიდა რეკომენდაციაში, რამაც გამოიწვია კომპონენტის შეფასების ცვლილება და ნაცვლად "მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან", შეფასდა, როგორც "შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" და აღნიშნულ ცვლლებას არ გამოუწვევია სტანდარტის შეფასების ცვლილება.

4.1 კომპონენტში არსებული შემდეგი რჩევა:

"სასურველია, პროგრამის გასაძლიერებლად, NEWUNI-მ თანდათანობით გაზარდოს კომპიუტერული მეცნიერებების კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალის რაოდენობა. სასურველია, პროგრამის შევსება პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერიის, ხელოვნური ინტელექტის, მონაცემთა მეცნიერებისა და კიბერუსაფრთხოების სფეროების მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით, რათა უზრუნველყოფილ იქნას მისი შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებსა და ბაზრის მოთხოვნებთან",

გადაიტანა რეკომენდაციაში და ჩამოაყლიბა შემდეგი სახით:

"რეკომენდებულია, პროგრამის გასაძლიერებლად, NEWUNI-მ თანდათანობით გაზარდოს კომპიუტერული მეცნიერებების კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალის რაოდენობა."

შედეგად, 4.1 კომპონენტი, ნაცვლად "მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან", განისაზღვრა, როგორც "შესაბამისობაშია მოთხოვნებთან".

ამასთან, 4.4 კომპონენტში არსებული კლასტერული რეკომენდაცია, გადავიდა რჩევაში და ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:

"სასურველია, რომ ნიუუნიმ გაზარდოს ბიბლიოთეკაში არსებული ბეჭდური წიგნებისა და სასწავლო მასალების რაოდენობა, რათა უზრუნველყოს თანაბარი წვდომა ყველა სტუდენტისთვის, მათ შორის მათთვის, ვინც უპირატესობას ანიჭებს ტრადიციულ სასწავლო ფორმატებს."
შედეგად, არ შეიცვალა 4.4 კომპონენტის შეფასება.
აღნიშნულ ცვლილებებს, რა გამოუწვევია მე-4 სტანდარტის ცვლილება.

3. სარეზოლუციო ნაწილი
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ემუ ხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს შპს ახალი უმაღლესი სასწავლებელი - ნიუუნის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ შპს ახალი უმაღლესი სასწავლებელი - ნიუუნის "კომპიუტერული მეცნიერების" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 25 დეკემბრამდე.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს ახალი უმაღლესი სასწავლებელი - ნიუუნის "კომპიუტერული მეცნიერების" საბაკალავრო და ,,კომპიუტერული მეცნიერების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2026 წლის 15 იანვრის სხდომის №26849 ოქმის №02 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. **დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:**

- რეკომენდებულია, პროგრამაში დაამატოთ პროგრამული ინჟინერიის (Software Engineering) კურსი ან მისი შესატყვისი თემები;
- რეკომენდირებულია, გადახედოთ კომპიუტერული მეცნიერების შესავალი კურსის შინაარსს;
- რეკომენდირებულია, გადაარქვათ სახელი კურსს "კიბერკანონმდებლობა და შესაბამისობა" და შეცვალოთ უფრო შესაბამისი სახელწოდებით;
- რეკომენდირებულია, განაახლოთ სახელმძღვანელოები/ლიტერატურა რიგ კურსებში.
- რეკომენდირებულია, სილაბუსების გადახედვა, რომ ისინი ასახავდნენ მხოლოდ შესაბამის სწავლების და სწავლების მეთოდებს.
- რეკომენდებულია, პროგრამის გასაძლიერებლად, NEWUNI-მ თანდათანობით გაზარდოს კომპიუტერული მეცნიერებების კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალის რაოდენობა. სასურველია, პროგრამის შევსება პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერიის, ხელოვნური ინტელექტის, მონაცემთა მეცნიერებისა და

კიბერუსაფრთხოების სფეროების მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით, რათა უზრუნველყოფილ იქნას მისი შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებსა და ბაზრის მოთხოვნებთან.

- რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა განაახლოს და გააფართოვოს ინტერნეტ ინფრასტრუქტურა, რათა უზრუნველყოს სწრაფი და სტაბილური კავშირი მთელ კამპუსში, რაც აუცილებელია ეფექტიანი სწავლების, კვლევისთვის და განსაკუთრებით კომპიუტერული მეცნიერებისა და ტექნოლოგიების პროგრამებისთვის.
- რეკომენდებულია, დაწესებულებამ გადახედოს და შეცვალოს ხელფასების განაწილება, რათა უზრუნველყოს სასწავლო დატვირთვის ადეკვატური ანაზღაურება, რადგან მიმდინარე საათობრივი ტარიფები არასაკმარისად გამოიყურება, და ასევე დააზუსტოს, თუ როგორ აისახება საბიუჯეტო გაანგარიშებებში სწავლის საფასურის შეღავათები და შემცირებული გადასახადები, რათა შეიქმნას უფრო გამჭვირვალე და რეალისტური ფინანსური ჩარჩო.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 25 დეკემბრიდან.
6. საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს ერთი წელი - 2026 წლის 25 დეკემბერი.
7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) კანონმდებლობის შესაბამისად დაწესებულებისთვის გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს სხდომის თავმჯდომარე,
აფთარაშვილი ქეთევან